

გეოგრაფია 8 ● გეოგრაფიის სახელმძღვანელო მერვეკლასელთათვის

მაია ბლიაძე, გია ქანტურია, დავით კერესელიძე

გეოგრაფია

მოსწავლის წიგნი

8

გრიფი მიენიჭა ს.ს.ი.პ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ
(ბრძანება N 375, 18.05.2012)



გაერ სულააკურის
გამომცემლობა

გეოგრაფიული მდებარეობა და მსოფლიოს რეგიონები

1.	სივრცე და ტერიტორია	8
2.	გეოგრაფიული მდებარეობა	10
3.	რეგიონი და მისი გამოყოფის პრინციპები	12
4.	განვითარებული და განვითარებადი მსოფლიო	15
5.	მსოფლიოს ქვეყნები	19

კონტინენტები

6.	ევროპა	24
7.	აზია	33
8.	ჩრდილოეთი ამერიკა	42
9.	სამხრეთი ამერიკა	50
10.	აფრიკა	58
11.	ავსტრალია და ოკეანეთი	67
12.	ანტარქტიდა	74
	შემაჯამებელი სამუშაო I	78

მოსახლეობა და მიგრაცია

13.	მსოფლიო მოსახლეობა	82
14.	რა არის მიგრაცია	85
15.	იძულებითი მიგრაცია	89
16.	თანამედროვე მიგრაციების გეოგრაფია	91

დასახლებები და ურბანიზაცია

17.	განსახლების ფორმები	96
18.	ქალაქი	98
19.	ქალაქის ფუნქციები და იერსახე	102
20.	რისგან შედგება ქალაქი	106
21.	რა არის ურბანიზაცია	110
22.	აგლომერაციები და მეგალოპოლისები	113
23.	ქალაქის პრობლემები	116
24.	სოფელი	120
	შემაჯამებელი სამუშაო II	122

მეურნეობა

25.	თანამედროვე მსოფლიოს მეურნეობა	126
26.	სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი	128
27.	მრეწველობა	131
28.	სათბობ-ენერგეტიკული მეურნეობა და ენერგეტიკული რესურსები	134
29.	სოფლის მეურნეობა	138
30.	მომსახურების სფერო	143
31.	ტრანსპორტი	145
32.	ტრანსპორტის სახეები	148
33.	გზები, ხიდები, გვირაბები...	155
34.	კომუნიკაციები	162
35.	ტურიზმი	167
36.	ვაჭრობა და სავაჭრო გზები	172
37.	ვაჭრობის სახეები და ფორმები	176
38.	საერთაშორისო ვაჭრობა	180
	შემაჯამებელი სამუშაო III	182

კავკასია

39.	კავკასიის მდებარეობა და ტერიტორია	186
40.	კავკასიის რელიეფი	188
41.	კავკასიის ჰავა და შიდა წყლები	191
42.	კავკასიის ბუნებრივი რესურსები	194
43.	შავი ზღვა	197
44.	კასპიის ზღვა	200
45.	სტიქიური მოვლენები კავკასიაში	203
46.	სამხრეთ კავკასიის ეკოლოგიური პრობლემები	206
47.	ბუნების დაცვა სამხრეთ კავკასიაში	211
48.	იუნესკო და სამხრეთ კავკასია	215
49.	სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მეურნეობა	220
50.	კავკასიის მოსახლეობა	225
51.	კავკასიის ქალაქები	228
52.	კავკასია და საქართველო	231
53.	საქართველოს მხარეები	234
	შემაჯამებელი სამუშაო IV	238
	დანართები	240

II თავი

გეოგრაფიული მდებარეობა და მსოფლიოს რეგიონები

შეიტყობ:

- რა არის გეოგრაფიული მდებარეობა;
- რა ნიშნებით ხდება მსოფლიოში რეგიონების გამოყოფა.



შეჯამება:

- „დაადგინო სხვადასხვა ქვეყნის, ობიექტის გეოგრაფიული მდებარეობა;
- „დააჯგუფო ქვეყნები კონტინენტებისა და განვითარების დონის მიხედვით;
- „შეადარო მდიდარი და ღარიბი ქვეყნების მეურნეობა;
- „შეადარო სხვადასხვა რეგიონი, კონტინენტი და იმსჯელო მათ შორის მსგავსება-განსხვავების გამომწვევ მიზეზებზე.

1. სივრცე და ტერიტორია

ლექსიკონი

აკვატორია – გარკვეულ საზღვრებში მოქცეული წყლის სივრცე

აეროტორია – ხმელეთისა და აკვატორიის თავზე არსებული საჰაერო სივრცე

დედამიწაზე მომხდარი ნებისმიერი გეოგრაფიული მოვლენა **დროსა და სივრცეში** მიმდინარეობს. ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული: ვულკანების ამოფრქვევა და მიწისძვრებს, ათეულობით თუ ასეულობით კილომეტრზე გადაჭიმული მდინარეების ხეობებს, გრანდიოზულ მთათა სისტემებს, კონტინენტებსა და ოკეანეებს.

დროთა განმავლობაში გეოგრაფიული ობიექტები თუ მოვლენები სახეს იცვლის. მაგალითად, მთები და ქედები გარეგანი ძალების მოქმედების შედეგად გარკვეული დროის შემდეგ ინგრევა და ვრცელ ტალღოვან ვაკეებად გარდაიქმნება; დედამიწის ზოგიერთი უბანი ვერტიკალური მოძრაობების შედეგად – აწევას, ზოგი კი დაწევას განიცდის; კლიმატური პირობების ცვლილების შესაბამისად ადგილს იცვლის ბუნებრივი ზონებიც.



ნახ. 1.1. ურალის მთები ინგრევა და დროთა განმავლობაში ვაკედ გარდაიქმნება.



ნახ. 1.2. ჰოლანდიის სანაპირო თანდათან წყალში იძირება.

ბუნებრივი პროცესები ერთმანეთისგან ხანგრძლივობითა და განვითარების სტადიებით განსხვავდება.

ადამიანს გაჩენისთანავე მოუწია სასიცოცხლო სივრცესთან შეგუება, **ადაპტაცია**. ჩვენი სასიცოცხლო სივრცე **გეოგრაფიული სივრცე** ანუ **გეოსივრცეა**. გეოსივრცის ნაწილი ადამიანის მიერაა ათვისებული და მას **ანთროპოსფერო** ჰქვია, ნაწილი კი ჯერაც ათვისებელი და უკაცრიელია.

სივრცე სამგანზომილებიანია და მას სიგრძე, სიგანე და სიმაღლე აქვს. გეოსივრცეც სამი ნაწილისგან შედგება და ხმელეთს, წყალსა (აკვატორიას) და საჰაერო სივრცეს (აეროტორიას) მოიცავს.

ზოგჯერ სივრცეს ტერიტორიასთან აიგივებენ. თუმცა ტერიტორია, სივრცისგან განსხვავებით, ორგანოზომილებიანია და ხშირად „ხმელეთის“, „მინის“ ნაცვლად იხმარება. მაგ., საქართველოს ტერიტორია ჩვენი ქვეყნის მიერ დაკავებული ხმელეთის ნაწილთან ერთად აქ არსებულ შიდა ნყლებსაც (მდინარეები, ტბები და სხვ.) მოიცავს.



ნახ. 1.3. სახელმწიფოების ტერიტორიები დროთა განმავლობაში იცვლებოდა: ხან იზრდებოდა, ხანაც მცირდებოდა.

დავალება

1. როგორ ფიქრობ, გეოსივრცის რომელი ნაწილი აითვისა ადამიანმა და რომელი ნაწილია ჯერაც აუთვისებელი?
2. მოიყვანე მაგალითი, რომელიც მონიშნავს, რომ ბუნებრივი მოვლენა დროსა და სივრცეში მიმდინარეობს.
3. რა განსხვავებაა გეოსივრცესა და ტერიტორიას შორის?
4. ნახ. 1.3-ის მიხედვით დაადგინე, როგორ იცვლებოდა გერმანიის ტერიტორია XX საუკუნეში? როგორ ფიქრობ, რა მიზეზებმა განაპირობა ქვეყნის ტერიტორიის ცვლილება?

2. გეოგრაფიული მდებარეობა

ჩვენს პლანეტაზე ყველა ობიექტი – მთა, ვაკე, მდინარე, ქვეყანა, ქალაქი და სხვ. გარკვეულ ადგილას მდებარეობს. ამ ობიექტების ადგილმდებარეობის დასადგენად უნდა ვიცოდეთ მათი გეოგრაფიული კოორდინატები, შეგვეძლოს მიმართულებისა და მანძილების განსაზღვრა. ობიექტის „მისამართის“ დასაზუსტებლად კი აუცილებელია მისი გეოგრაფიული მდებარეობის განსაზღვრა, რაც მის სხვა ობიექტების მიმართ განლაგების თავისებურებების დადგენას გულისხმობს.

ობიექტის გეოგრაფიული მდებარეობა მეზობელი ობიექტების (ზღვა, მთა, ყურე, ქვეყანა და სხვ.) მიმართ მისი მდებარეობის განსაზღვრით დგინდება. მაგალითად, ესპანეთის გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი ევროპის სამხრეთ-დასავლეთში, პირენეს ნახევარკუნძულზე მდებარეობს. მას დასავლეთიდან ატლანტის ოკეანე, ჩრდილოეთიდან – ბისკაის ყურე, სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კი ხმელთაშუა ზღვა ესაზღვრება. გიბრალტარის სრუტი ესპანეთი აფრიკის კონტინენტისგანაა გამოყოფილი. მისი მეზობელი ქვეყნებია: დასავლეთიდან პორტუგალია, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – საფრანგეთი და ანდორა.


ნახ. 2.1. მსოფლიოს პოლიტიკური რუკა



დავალება

1. გაიხსენე, რა არის პოლიტიკური რუკა და რა ინფორმაციის მოძიება შეგიძლია მისი გამოყენებით.
2. ნახ. 2.1-ის მიხედვით (დანართი 2): ა) აღწერე შენ მიერ შერჩეული სამი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და შეადარე ისინი ერთმანეთს; ბ) დაადგინე კონტინენტების მიხედვით ფართობით ყველაზე დიდი და სამი ყველაზე პატარა ქვეყანა.

გეოგრაფიულ ობიექტს შეიძლება ჰქონდეს **ხელსაყრელი ან არახელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა**; ასევე **ზღვისპირა, ცენტრალური, პერიფერიული** და სხვა მდებარეობაც. ამა თუ იმ ობიექტის გეოგრაფიული მდებარეობა შეიძლება იყოს უცვლელი ან ცვალებადი.



ნახ. 2.2. არალის ზღვა აზიაში მდებარეობს და მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ტბად ითვლება. XX საუკუნის 50-იან წლებში მისი ფართობი 65,5 ათას კვ.კმ-ს შეადგენდა. მას შემდეგ, რაც ტბაში ჩამავალი ორი მდინარის — სირდარიისა და ამუდარიის სარწყავი მიზნებით გამოყენება დაიწყო, არალის ზღვაში წყლის დონემ კატასტროფულად დაიწია. მისი ფართობი თითქმის განახევრდა. არალის ზღვის და მის ირგვლივ მდებარე ობიექტების გეოგრაფიული მდებარეობა სულ რაღაც 50 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა.

დავალება

- როგორ ფიქრობ, რა გავლენას მოახდენდა არალის ზღვის ასეთი ცვლილება: ა) მის მახლობლად მცხოვრები მოსახლეობის საქმიანობაზე? ბ) მის ირგვლივ არსებულ ბუნებაზე?

გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ქვეყნები არსებობს კუნძულოვანი, ნახევარკუნძულოვანი, ზღვისპირა, არაზღვისპირა და სხვ. გარდა გეოგრაფიული მდებარეობისა, ქვეყნებს სხვა ნიშნების მიხედვითაც აჯგუფებენ: მაგალითად, ტერიტორიის სიდიდის, მოსახლეობის რიცხოვნობის, საზღვრების ხასიათის, მმართველობის ფორმების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და სხვ. ნიშნების მიხედვით.

დავალება

- დაადგინე, როგორი მდებარეობა აქვს ქალაქებს: ლონდონს, პარიზს, მოსკოვს, ბერლინს, პრალას და თბილისს თავიანთი ქვეყნების ტერიტორიასთან მიმართებაში? განსაზღვრე მათი გეოგრაფიული კოორდინატები.
- როგორ ფიქრობ, ქვეყნისთვის როგორი მდებარეობაა უფრო ხელსაყრელი და რატომ?
- განსაზღვრე ქვეყანა-კონტინენტის, ავსტრალიის გეოგრაფიული მდებარეობა. როგორ ფიქრობ, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს მის მდებარეობას?
- ნახ. 2.1-ისა და ნახევარსფეროების რუკის (დანართი 1) გამოყენებით ჩამოთვალე: ა) სამი კუნძულოვანი ქვეყანა; ბ) სამი ნახევარკუნძულოვანი ქვეყანა; გ) სამი ზღვისპირა ქვეყანა; დ) სამი ქვეყანა, რომელსაც ზღვაზე გასასვლელი არა აქვს.
- აღწერე შენი საცხოვრებელი ადგილის გეოგრაფიული მდებარეობა.

3. რეგიონი და მისი გამოყოფის კრიტერიუმები

ლექსიკონი

რეგიონი – დიდი ტერიტორიული ერთეული (მაგალითად, ბუნებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვ.)

მსოფლიოს ქვეყნები თუ სხვადასხვა ტერიტორია შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლის – ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიკურ-გეოგრაფიული, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, კულტურულ-ისტორიული ან სხვა ფაქტორების მიხედვით დაჯგუფდეს. მაგალითად, ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მაგალითია კავკასიის, ბალკანეთის, ანდების ან სხვა ბუნებრივი ოლქები.


გეოგრაფიული რეგიონი ერთიანი, მთლიანი ტერიტორიაა, რომელიც მსგავსი ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პირობებითა და პროცესებით ხასიათდება.

გეოგრაფიული დარაიონება შეიძლება იყოს მარტივიც და კომპლექსურიც. მარტივი დარაიონებისას რეგიონის გამოყოფა ერთი რომელიმე კრიტერიუმის (მაგალითად, ფიზიკურ-გეოგრაფიული) მიხედვით ხდება, კომპლექსური დარაიონებისას კი რამდენიმე კრიტერიუმით.

დედამინა რეგიონებად სხვადასხვანაირად შეიძლება დაიყოს. ნებისმიერი ასეთი დაყოფა პირობითია. მაგალითად, არც თუ ისე შორეულ წარსულში მთელი მსოფლიო ორ ნაწილად – ძველ და ახალ სამყაროდ იყოფოდა.

ძველ სამყაროს იმ დროისთვის ცნობილი ქვეყნის სამი ნაწილი – ევროპა, აზია და აფრიკა მიეკუთვნებოდა, ტერმინი „ახალი სამყარო“ კი XVI საუკუნეში ქვეყნის მეოთხე ნაწილის – ამერიკის აღმოჩენის შემდეგ დამკვიდრდა.

ასეთივე ზოგადი იქნება ჩვენი პლანეტის მთელი ტერიტორიის რეგიონებად დაყოფა, თუ მხედველობაში მივიღებთ, ერთი მხრივ, ადამიანის მიერ ათვისებულ და დასახლებულ რეგიონებს, მეორე მხრივ კი – ათვისებულ ტერიტორიებს.



ნახ. 3.1. ადამიანის მიერ ათვისებული და ათვისებული ტერიტორიები

დავალება

- შეადარე ერთმანეთს ნახ.3.1, ნახევარსფეროებისა და მსოფლიოს პოლიტიკური რუკები (დანართი 1-2) და დაადგინე: ა) რომელი ტერიტორიებია ათვისებული და ათვისებული და ახსენი, რატომ; ბ) რომელი ქვეყნების ტერიტორიებზე მდებარეობს ათვისებული ტერიტორიები?


ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, ყველაზე მარტივია დედამიწის კონტინენტებად დაყოფა. შედარებით რთულია მისი დაყოფა ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, ენობრივი და სხვა ნიშნების მიხედვით.

დავალება

2. მსოფლიოს ფიზიკურ-გეოგრაფიული და ისტორიულ-კულტურული კუთხით რეგიონებად დაყოფისას რომელ კრიტერიუმებს აირჩევდი და რომელ რეგიონებს გამოყოფდი?
3. მსოფ. პოლიტიკური რუკის (დანართი 2) გამოყენებით ჩამოთვალე და აჩვენე რუკაზე: ხმელთაშუაზღვისპირეთის, ბალკანეთის, კარიბის ზღვის აუზის, სპარსეთის ყურის, გვინეის ყურის ქვეყნები. შენი აზრით, რა ნიშნის მიხედვით გააერთიანეს ეს ქვეყნები ერთ რეგიონში?

მსოფლიოს ქვეყნებს პირობითად ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნებად ყოფენ. ასეთი დაყოფის საფუძველი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, მეურნეობის სტრუქტურა და საყოფაცხოვრებო პირობებია.

ნახ. 3.2. მსოფლიოს დაყოფა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნებად



დავალება

4. შეადარე ერთმანეთს ნახ. 3.2-ისა და მსოფლიოს პოლიტიკური რუკა (დანართი 2):
ა) იმსჯელე, მსოფლიოს ჩრდილოეთის და სამხრეთის ქვეყნებად დაყოფისას რატომ არ მიიღეს მხედველობაში ეკვატორი, რომელიც დედამიწას ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებად ყოფს? ბ) დააჯგუფე ცხრილში ქვეყნები განვითარების დონის მიხედვით. გ) გამოიტანე დასკვნა.

რეგიონები ფართობის მიხედვითაც განსხვავდება. მაგალითად, კონტინენტები დედამიწის უმსხვილესი რეგიონები ანუ მაკრორეგიონებია. თითოეული კონტინენტის ბუნება, მოსახლეობის საქმიანობა თუ კულტურული ტრადიციები სხვადასხვა ნაწილში განსხვავებულია. ამიტომ თავის მხრივ კონტინენტი კიდევ უფრო მცირე რეგიონებად – ქვერეგიონებად, ანუ სუბრეგიონებად იყოფა.

მსოფლიოს დაყოფა რეგიონებად და სუბრეგიონებად მეტად მნიშვნელოვანია ამ რეგიონში შემავალი ქვეყნების სტატისტიკური აღრიცხვისათვის, ასევე, სხვადასხვა სახის საერთაშორისო ღონისძიებების დაგეგმვისა და ჩატარებისათვის.